ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №128

ქ.ბათუმი 13 ივნისი, 2023 წელი

ერთის მხრივ აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი დეპარტამენტის უფროსის მამუკა თურმანიძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი ნოდარ მჟავანაძის სახით შემდგომში „მიმწოდებელი“, „სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის “ს'' ქვეპუნქტის და შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი და ღირებულება.

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დეპარტამენტის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დრონით ვიდეო და ფოტოგადაღების განხორციელება 20-ჯერ (**CPV კოდი - 92100000**) შემდგომში გამარტივებული შესყიდვა.

1.2. 1 (ერთი) გადაღების ფასია 125 (ასოცდახუთი) ლარი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით).

1.3. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 2500 (ორიათასხუთასი) ლარს.

1.4. გადასახადების ადმინისტრირებას განახორციელებს დეპარტამენტი.

2. მიღება-ჩაბარება.

2.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიმწოდებელი გადაღებულ ვიდეო და ფოტო მასალას გადასცემს დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამსახურს დასამონტაჟებლად.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებს დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამსახური.

2.3. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული მომსახურებისათვის.

2.4. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს.

3. ანგარიშსწორება.

3.1.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების წარდგენის შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

4. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

4.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

4.3.ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა.

5.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 10% არაუგვიანეს 10 დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

5.2.შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,2 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს მიწოდების ვადების დარღვევისათვის პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა და მისი პირობების შეუსრულებლობა.

6.1.შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მომსახურება.

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

6.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

6.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

7. ფორს-მაჟორი.

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. სხვა პირობები.

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

8.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

8.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის, ან ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

8.4.ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

8.5.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ინახება ელექტრონულად ორმხრივად ხელმოწერილი და გააჩნია იურიდიული ძალა.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

9.1. მომსახურების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

ქ.ბათუმი ივ.ჯავახიშვილის ქ. №72ა

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზების

დეპარტამენტი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245 538 333

დეპარტამენტის უფროსი:

მამუკა თურმანიძე

Roads Department the sub-Division of Finance and Economy of the Ajara A.R.

Digitally signed by Roads Department the sub-Division of Finance and Economy of the Ajara A.R.
Date: 2023.06.13 10:36:57 +04'00'

„მიმწოდებელი“

ფ/პირი „ნოდარ მჟავანაძე

ქ.ბათუმი, ფიროსმანის ქ.№33, ბინა 43

პ/ნ 61001053213

მიმღები ბანკი ს.ს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშის ნომერი:

GE60BG0000000727549200

ფიზიკური პირი:

ნოდარ მჟავანაძე

Nodar Mjavanadze

Digitally signed by Nodar Mjavanadze
Date: 2023.06.13 14:14:26 +04'00'

ი ნ ვ ო ი ს ი

12/06/2023 წელი

“მიმწოდებელი“

ფიზიკური პირი „ნოდარ მჟავანაძე“

პ/ნ 61001053213

მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის ქ. №33,ბინა 43

„შემსყიდველი“

აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო

გზების დეპარტამენტი

მის: ბათუმი, ივ.ჯავახიშვილის ქ.№72ა

ს/კ: 245538333

მიმღები ბანკი ს.ს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი:BAGAGE22

ანგარიშის ნომერი:

GE60BG0000000727549200

ფიზიკური პირი:

ნოდარ მჟავანაძე

Nodar Mjavanadze

Digitally signed by Nodar Mjavanadze
Date: 2023.06.12 12:34:06 +04'00'

დანიშნულება: დრონით ვიდეო და ფოტოგადაღება. 1(ერთი) გადაღების ფასი 125 ლარი. სულ 20 გადაღება.

საერთო ღირებულება: 2500 ლარი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)

RUSSIA
23.05.2015
MINISTRY OF JUSTICE
IDGE013IK0158376100105321 3<<<<
8805267M2505233GE0<<<<<<<<<<<4
MJAVANADZE<<NODAR<<<<<<<<<<<<<

Georgia
GEO
NODAR
MJAVANADZE
GEO
M
61001053213
26.05.1988
23.05.2025
131K01583

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი **2023 წელი.**

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დეპარტამენტის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დრონით ვიდეო და ფოტოგადაღების განხორციელება 20-ჯერ (CPV-92111000) გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით 2023 წლის 13 ივნისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის №128 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელ ფიზიკური პირი „ნოდარ მჟავანაძე - სთან (პ/ნ-61001053213) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დეპარტამენტის უფროსი: მამუკა თურმანიძე

Roads Department the sub-Division of Finance and Economy of the Ajara A.R.

Digitally signed by Roads Department the sub-Division of Finance and Economy of the Ajara A.R.
Date: 2023.06.13 10:37:33 +04'00'